ხიზანაშვილი და კანდელაკი საქართველოს წინააღმდეგ

Khizanishvili and Kandelaki v. Georgia

(საჩივარი N25601/12)

2019 წლის 17 დეკემბერი

ფაქტები

მომჩივნები, ლალი ხიზანიშვილი და გიორგი კანდელაკი, საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც დაიბადნენ 1963 და 1955 წლებში შესაბამისად. ქ-ნი ხიზანიშვილი გარდაიცვალა 2017 წელს, ხოლო აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავა განაგრძო მისმა დედამ. ბ-ნი კანდელაკი ცხოვრობს თბილისში.

მომჩივნები იყვნენ თბილისის ცენტრში, მეტროსადგურ „გოცირიძესთან" ახლოს მდებარე კომერციული ფართებით დატვირთული შენობის მეწილეები. 2007 წლის იანვარში თბილისის მერიის ბრძანებით განხორციელდა ამ შენობის დემონტაჟი. მედიის განცხადებით შენობის დანგრევა მოხდა იმ კამპანიის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა უკანონოდ აშენებული შენობების და აგრეთვე იმ ნაგებობების დანგრევას, რომლებიც ვიზუალურად არ ექცეოდნენ ქალაქის ინტერიერში.

ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ შენობის დემონტაჟი უკანონოდ განხორციელდა და თბილისის მერიას მომჩივანთათვის კომპენსაცია უნდა მიეკუთვნებინა. პირველი ინსტანციის სასამართლომ პირველი მომჩივნის სასარგებლოდ თბილისის მერიას დააკისრა ზიანის ანაზღაურება 80.000 ევროს, ხოლო მეორე მომჩივნის სასარგებლოდ დაახლოებით 62.000 ევროს ოდენობით. მოცემული თანხები ასახავდა შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულებას და არა იმ მიწის ნაკვეთის ღირებულებას, რომელიც შენობის დანგრევის შემდეგ მომჩივანთა საკუთრებაში რჩებოდა.

სააპელაციო სასამართლომ პირველი მომჩივნისთვის საკომპენსაციო თანხა შეამცირა პირველი მომჩივნისთვის, 1.100 ევრომდე, ხოლო მეორე მომჩივნისთვის 617 ევრომდე. გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ექსპერტთა დასკვნას, რომელიც ადგენდა ქონების საბაზრო ღირებულებას დანგრევის შემდეგ. 2011 წლის სექტემბერში უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლზე დაყრდნობით, მომჩივნები დავობდნენ, რომ მათთვის მიკუთვნებული კომპენსაცია არ შეესაბამებოდა იმ რეალურ დანაკარგს, რაც საკუთრების უკანონო დენომტაჟის შედეგად განიცადეს.

სამართალი

[ადამიანის უფლებათა] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებს არ ჩამოერთვათ საკუთრების უფლება იმ მიწაზე, რომელზეც დანგრეული შენობა იყო განლაგებული, შენობის დემონტაჟი თავისთავად წარმოადგენდა მათი საკუთრების *de facto* ექსპროპრიაციას. შესაბამისად, ხელისუფლება ჩაერია მომჩივანთა საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში.

გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა ცალსახად დაადგინეს, რომ შენობის დემონტაჟს არ გააჩნდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან უფლების განხორციელებაში ჩარევა არ იყო კანონიერი და არ ემსახურებოდა რაიმე საჯარო ინტერესს. უფრო მეტიც, ასეთი ინტერესის არსებობა სადავო არ გამხდარა არც ეროვნული და არც სტრასბურგის სასამართლოს წინაშე.

წინამდებარე საქმეში არსებით განსახილველ საკითხს წარმოადგენდა შემდეგი: იყო თუ არა მომჩივნებისთვის მინიჭებული კომპენსაცია ადეკვატური.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი საკომპენსაციო თანხის შემცირებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო დასკვნას, რომელშიც გამოყენებული იყო საკუთრების ღირებულების გამოთვლის განსხვავებული მეთოდი, კერძოდ, შეფასებულ იქნა დანგრევის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალის ღირებულება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების ღირებულების გამოთვლის აღნიშნული მეთოდი სხვა მსგავს საქმეებში გამოყენებული მეთოდის მსგავსი იყო. თუმცა, სასამართლომ ცალსახად არ მიუთითა ამ საქმეებზე და არ განმარტა, რამდენად შეიძლებოდა წინამდებარე საქმესთან მათი შედარება. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუყენებია კანონით გათვალისწინებული უფლება, საკითხის დაზუსტების მიზნით, მოეთხოვა სხვა ექსპერტის დასკვნა.

უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, იყო თუ არა გამოთვლის ასეთი მეთოდი და, რაც მთავარია, კომპენსაციის საბოლოო ოდენობა სამართლიანი და შესაბამისი, იმის გათვალისწინებით, რომ შენობის დანგრევამდე და დანგრევის შემდეგ მისი საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა

ერთმანეთისგან. მსგავსი მიდგომის შედეგად, მომჩივნებს სრულად არ მიუღიათ ის კომპენსაცია, რომლის გონივრული მოლოდინიც ჰქონდათ, მათი საკუთრების უფლების აშკარა უგულვებელყოფის გათვალისწინებით.

დასკვნის სახით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ წარმოუდგენია სათანადო განმარტება აღნიშნულ საქმეში გამოყენებული მიდგომებისა და კომპენსაციის ოდენობის შესახებ. ასეთი სერიოზული ხარვეზის დაბალანსება ვერ მოხდებოდა იმით, რომ მომჩივნებმა შეინარჩუნეს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს არ მიუღიათ სათანადო კომპენსაცია მათი საკუთრების უკანონო დემონტაჟისთვის. შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების უფლება).

სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41)

პირველი და მეორე მომჩივანი კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად ცალ-ცალკე ითხოვდნენ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 136,800 ევროს ოდენობით სავარაუდო მიუღებელი შემოსავლისთვის, რომელსაც აიღებდნენ საკუთრების გაქირავების მეშვეობით. ისინი ასევე, ითხოვდნენ 200,000 ევროსა და 143,000 ევროს ანაზღაურებას მორალური ზიანისთვის.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნების თავდაპირველი საჩივარი კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, ეხებოდა მხოლოდ უკანონოდ დანგრეული შენობის ღირებულების კომპენსაციას და არა მიუღებელ შემოსავალს კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ვერ ხედავს მიზეზობრივ კავშირს დადგენილ დარღვევასა და მიუღებელი შემოსავლის გამო მოთხოვნილ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას შორის. პირიქით, სასამართლო აღნიშნავს, რომ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის დადგენა წარმოადგენს ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების განახლებისა და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის საფუძველს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული საშუალება იქნება ყველაზე შესაფერისი მომჩივანთა უფლების აღდგენისთვის. შესაბამისად, ამ ეტაპზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

რაც შეეხება მომჩივანთა მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, წინამდებარე საქმის არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნებს მიადგათ მორალური ზიანი, რომლის ანაზღაურებაც არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ დარღვევის დადგენით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფომ, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, თითოეულ მომჩივანს 3.000 ევრო უნდა გადაუხადოს.